




KA021761147739616

სახელმწიფო ქონების  
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY  
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, თ.ჭოველიძის ქ.10ა

10a T.Chovelidze Str.,0108 Tbilisi, Georgia

N5/33329

30 / ივნისი / 2016 წ.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

ასლი: ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობას

ასლი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას

ასლი: სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს

ასლი: სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული  
სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 27.05.2016წ. N2486/07 (სააგენტოს რეგისტრაციის N40997/04; 27.05.2016წ.) წერილის პასუხად, რომლითაც დასმულია საკითხი სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხულ - ქედის რაიონში მდებარე 65 კვ.მ., 997 კვ.მ. და ხელვაჩაურის რაიონში მდებარე 152 კვ.მ. მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N21.08.37.233; N21.01.35.278; N22.31.01.799) არსებული მერქნული რესურსის ჭრების განსახორციელებლად თანხმობის გაცემის თაობაზე, „ახალციხე-ბათუმის“ 220 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის განხორციელების მიზნით, გაცნობებთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის 16.06.2016წ. N03/16969, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 29.06.2016წ. N05/3279 და სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს 28.06.2016წ. N09/1027 წერილებით წარმოდგენილი პოზიციის გათვალისწინებით, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, ქედის რაიონში მდებარე 65 კვ.მ., 997 კვ.მ. და ხელვაჩაურის რაიონში მდებარე 152 კვ.მ. მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N21.08.37.233; N21.01.35.278; N22.31.01.799), თქვენი 27.05.2016წ. N2486/07 წერილით წარმოდგენილი დანართი N1-ის შესაბამისად განახორციელოთ არაწითელი სახეობის მინიმალური რაოდენობის ხე-მცენარეების მოჭრა უსართობების ნორმების სრული დაცვით.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე არაწითელი სახეობის ხე-მცენარეების მოჭრის შედეგად სახელმწიფოს არ უნდა წარმოემვას რაიმე სახის ვალდებულება.

აქვე გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 29<sup>1</sup> მუხლისა და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242

დადგენილების მე-12 მუხლის მე-5<sup>1</sup> პუნქტის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხულ ტერიტორიაზე (მათ შორის, სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის კორექტირების შედეგად სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების გარეთ დარჩენილ ტერიტორიაზე) განხორციელებული ჭრებისა და სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსი დაუკოტრავი სახით, სახეობების მიხედვით საწყობდება სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.

წერილთან ერთად გიგზავნით ზემოხსენებულ კორესპონდენციას.

დანართი: 4 ფურცელი

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს  
თავმჯდომარე



ეკატერინე სისაური